განკარგულება:**g-87. 872406610**
თარიღი:**06/03/2024**

განკარგულება №17

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მარაგების სახით არსებული მეორადი ლითონის (ჯართი) საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული, პირობიანი აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მარაგების სახით არსებული სავარაუდოდ 10 ტონა მეორადი ლითონი (ჯართი).

2. განისაზღვროს განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული მარაგების სახით არსებული:

ა) 1 (ერთი) კილოგრამი მეორადი ლითონის (ჯართის) საწყისი საპრივატიზებო

საფასური - 0.60 (სამოცი) თეთრის ოდენობით;

ბ) „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა - საწყისი

საპრივატიზებო საფასურის 30%-ით - 1800 (ათას რვაასი) ლარის

ოდენობით;

გ) ელექტრონული აუქციონის ბიჯის ოდენობა - საწყისი საპრივატიზებო

საფასურის 10%-ით - 0,060 თეთრის ოდენობით;

დ) საპრივატიზებო პირობები:

- მეორადი ლითონის სავარაუდო მოცულობა შეადგენს

10 (ათ) ტონას, 1კგ. მეორადი ლითონის სავარაუდო ფასია 0.60 თეთრი, აუქციონის

ბე-ს თანხა გათვალისწინებულია ჯართის მთლიან სავარაუდო ოდენობაზე.

აუქციონის ბიჯის ოდენობა გათვალისწინებულია 1კგ მეორადი ლითონის

ღირებულებაზე.

- საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება საბოლოო მოცულობის დადგენის შემდეგ.

3. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი